29
1919.

პარასკევი, თებერვლის 7. (იანვრის 24). 1919 წელი.

№ 26.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური ხალხ[ი]

გაზეთი.

# კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით.

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი. ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

საქართველოს სახ. წიგნის პალატა
შემოვიდა 191 წ.
22/III 50
№ 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ მებრძოლთ!

### ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

## საქართველოს ეროვნული პარტიის

### საარჩევნო პლატფორმა

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია ,,საქართველო ჯერ ქართველებისათვის''!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გადაწყდეს სახელმწიფოდ და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მამულის ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ გლეხობის დასახლებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ხორმა მიწის მფლობელობისა ვადიანი ჩამოერთვას კუთვნილ ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნაციონალური იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს, სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში ხანმა არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა — მუდმივი რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს ,,ეროვნულ-დემოკრატებს'' (გაზეთ ,,საქართველოს'') არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მანაჩენი პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ჟორდანიას მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ ,,საქართველოს ეროვნული პარტია,, დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც ,,კლდე'' სახელმწიფოებრივ პროგრამას.

# სია № 8

,,საქართველოს ეროვნულ პარტიის'' კანდიდატები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ ,,კლდის'' რედაქტორი.
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. გაბაშვილი ივანე (ლეონიძე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. კაპანელი (ჭანტურია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. ეკალაძე ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე;
17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა ,,კავშირის'' წევრი.
18. იმხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. ლუდუშაური ბართლომე; მღვდელი.
20. ივანიცკი ტარასი; დეკანოზი.
21. მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. სიდამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
23. ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. ქახრაშვილი კსენეფონტე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

თფილისი, თებერვლის 7

## ჩვენ და ქალაქის არჩევნები.

ომიანობამ იცის ისეთი მაგალითები როდესაც ბრძოლის ცეცხლში და ალში გახვეულთ, გაფანტულ და დაქსაქსულ მებრძოლთ, უხდებათ ხოლმე ხელახლავ შეჯგუფება, დარაზმვა და მტრის მოგერიებაა თვით ბრძოლის ველზედ.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა საქართველოს ეროვნული პარტია თფილისის საქალაქო არჩევნებში. ეროვნულ პარტიის ორგანიზაციის მოწყობამ დაიგვიანა და დარაზმვა მისი მოხდა საარჩევნო ბრძოლის ველზედ. მიზეზი ამ დაგვიანებისა იყო ჩვენი გულუბრყვილო ოცნებები ეროვნულ-დემოკრატებთან ჯერ საერთო კონფერენციის მოწყობაზედ, რომელსაც ვითომდა უნდა მოესპო ჩვენ შორის უთანხმოება, მერმე იმედი მათთანვე შეთანხმების და ერთად გამოსვლის არჩევნებშია სოციალიზმის არმიის წინააღმდეგ. მაგრამ მოვტყუვდით და ეროვნულ პარტიას ამიტომ მოუხდა დაგვიანებით თავის ორგანიზაციით და მოახერხა ეს მხოლოდ საარჩევნო ბრძოლის ველზედ და იძულებული გახდა იერიშის მაგიერ თავდაცვის ოპერაცია ეწარმოებინა. ამით აიხსნება, რომ ქალაქის არჩევნებში ჩვენ ვერ შევძელით ეროვნულ პარტიის მრავალ თანამოაზრეთა ხმების ლოდზედ მოგროვება და გამოყენება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პარტიას მოუხდა გამოსვლა უსაშინელეს პირობებში, მაინც მისი დამარცხება ვერ მოახერხეს. მან გაიტანა თავის ლიდერი და პოლიტიკურად არ დამარცხდა როგორც ამას უკიჟინებდნენ მოწინააღმდეგენი. არც მომავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებში დამარცხდება. პირიქით ჩვენ მეტის მხნეობით და ენერგიით განვაგრძობთ საარჩევნო ბრძოლას დამფუძნებელ კრებისათვის, სრულის იმედით რომ ჩვენი პარტიის ამომრჩეველთა ხმა 14 თებერვალს საგრძნობლად გაიზრდება.

და ჩვენ ვეცდებით, რომ საქართველოს დამფუძნებელ ყრილობაზე კვლავ გაისმოდეს გაბედული, მრისხანე და სიმართლის მდაღადებელი ეროვნულ პარტიის წარმომადგენლობის ხმები.

## ქალაქის არჩევნების შემდეგ

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები დასრულდა. ამომრჩეველთა ხმების რაოდენობა უკვე გამორკვეულია და მასთან ერთად გამოირკვა ის ძალთა განწყობილება, რომელიც მომავალ ქალაქის საბჭოში შეიქმნება.

ჩვენ ღრმად გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ მთელ საქართველოსთან ერთად მისი დედა-ქალაქის, ერის კეთილ დღეობისათვის ვერ იქნება ის ,,tabula rasa'', რომელზედაც ჩვენი სოციალისტები, რასაც უნდა იმას დასწერენ და წაშლიან. ჩვენთვის ცხადი იყო და არის, რომ ქალაქის სამუნიციპალო საქმეებს, ეროვნული ჯანსაღობისათვის საჭიროებისამებრ ვერ გაუძღვება ის ხალხი, რომლის ,,კეთილშობილებამ'' ჩვენი სახელმწიფოებრივი საქმე არ იქნება და არა მკვეთრად ვერ გამოკვეთა და ქალაქის საქმეების მართვა ყაჩაღებს და საბოტაჟნიკებს ჩააბარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ამიტომ ჩვენ ვფიქრობდით, რომ გაბატონებულ სოციალისტთა კოალიციას, რომელთაც იდეიური ბრძოლა მოქმედება იქამდე მიდის, რომ ქართულ სახელმწიფოს დღეს უცხო ყაიდაზე მართავს, ეი, ამ კოალიციას პირის-პირ დაუდგებოდა არა-სოციალისტური, ნაციონალისტური კოალიცია, რომელსაც მტერთაგან განთავისუფლება უფრო სხვანაირათ ესმის, ვიდრე ხვადასხვა კონფერენციებზე მავალ მემარცხენე ფრთის წევრებს.

მაგრამ შეშინებულმა ზომიერებამ ჩვენი ფიქრები არ გაამართლა ეს ქალაქის საარჩევნო დღეში გამოსულ მემარცხენეთ, ერთმანეთში უკმაყოფილოთ განწყობილი და დანაწილებული მემარჯვენე ფრთა შეება.

ამ შემთხვევაში საჭიროა გამარჯვებაზე ფიქრი, რაკვირველია ზედ-მეტი იყო მოუბრუნდავათ ამისა ზომიერი „საქართველო სოამოვნებას არ ურჩის და თავისებურ გამარჯვებაზედაც კი მიგვითითებს.

ეროვნულ-დემოკრატები არჩევნებში გამოვიდნენ ორ პარტიასთან ერთად. სამი პარტიისაგან შექმნილმა ბლოკმა ათი დეპუტატი გაიყვანა, რომელთაგან სამი ეკუთვნის რადიკალ-დემოკრატებს და უპარტიოებს, ხოლო დანარჩენი შვიდი კი „საქართველოელთ". თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოვლენას, რომ ზოგიერთი პარლამენტის წევრი, მეორე ნომრის სიიდან, ქალაქის საბჭოში არ შევა და სია დეპუტატებისა ცოტა დაბლა დაიწევს, უეჭველად საბჭოში დარჩება თანაბარი რიცხვი „საქართველოელთა" და რადიკალ-უპარტიოთა, და ამის შემდეგ ძნელი გამოსარკვევი ხდება ის თუ ვინ, ვინ გაათრია რადიკალ-დემოკრატებმა და უპარტიოებმა „საქართველოელნი", თუ უკანასკნელებმა პირველები.

ჩვენი პარტია ამ შემთხვევაში ერთგვარი status quo-ს მესაკუთრე შეიქნა. იგი ქალაქის საბჭოში ერთი დეპუტატი წარსდგება. მიზეზი ამ მოვლენისა მრავალი იყო, ხოლო უმთავრესად ორგანიზაციათა მოწყობის დაგვიანება, რომელიც ზემოთ მოყვანილმა იმედებმა გამოიწვია და მასთან ერთად ის უტიფარი აგიტაცია, რომელიც ეროვნულ დემოკრატები პარტიულ მასაში ეწეოდა: რვა და ორი ნომერი შეერთდა და ერთად გამოდიან. თუ რამე უთანხმოებაა მოხდა, ეს ჩვენი შინაური საქმეებიაო.

ეროვნულად განწყობილი მასსა დაიბნა და საერთო გაუგებრობაში იძულებული შეიქნა თავი შეეკავებინა.

ყოველ შემთხვევაში იმოდენა რიცხვის გაყვანა ქალაქის საბჭოში, რამდენიც გვყავდა, ოდნავაც არ გვაშინებს და მეტია ეწერგიით ვუდგებით დამფუძნებელ კრების საარჩევნო ბრძოლას. ხოლო პარტიულმა მასამ უკვე არ არის საჭიროდ მოთ ზურგი უნდა შეაქციოს იმ ხალხს, რომელმაც უღალატა პარიის ტრადიციას და სოციალისტებთან მეოქვნეობის გარდა რღვევა შეიტანა არა სოციალისტურ ძალთა განაწილებაში.

და ხელი შეუწყოს იმ ხალხს, რომელიც უფრო გამბედავათ და უაღრესად ამეტყველებთ ეროვნულ პოლიტიკას.

## გაზეთების მიმოხილვა

„ზეკლასიური" „ჩვენი ქვეყანა".

საარჩევნო კომპანია გრძელდება. ყოველი პოლიტიკური მიმართულება თავისებურ მუშაობას იწყებს და თავისკენ მოუხმობს ქართველ მოქალაქეს. იმ იმედით რასაკვირველია, რომ ეს უკანასკნელი მას ჩააბარებს თავის სვე-ბედს დამფუძნებელ კრებაზე.

ამუშავდნენ ქუთათური „როკველგრებიც." მაგრამ ვინაიდან დღეს სამშობლოს თავისუფლებისა და ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიაზე ტირილით ვერავის გააკვირვებ, ხოლო საკუთარი ლოზუნგები კი... არ მოიპოვება, ორი კვირით განახლებული ქუთათური სპეკულიანტების ორგანო „ჩვენი ქვეყანა" კვლავ წყეულ ზეკლასიურობას უბრუნდება და სწერს:

„ეროვნული-დემოკრატიული პარტია, არასოდეს არ გამოსარჩლებია განსაკუთრებით რომელიმე სოციალურ კლასს, არამედ იგი იცავდა და იცავს ქართველი ხალხის ინტერესებს მუშა იქნება იგი, გლეხი თუ ვაჭარიო"-ო.

ამას სწერს გაზეთი, რომლის ყდლეთ გვერდებზე, ამას წინათ მისი სულის ჩამდგმელი ა. თოიძე სწერდა:

„მთელი ჩვენი ენერგია და ლონის ძიება მიმართული უნდა იქნეს ვაჭრების ვაჩენისა და მის წარმატებისაკენ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ბურჟუაზიულ კლასისთვის, ურომლისოდ შეუძლებელია დოვლათის და სიმდიდრის შექმნა რაიცა შეადგენს ეკონომიურ განვითარების მთავარ საფუძველსო".

ასეთია ორი აზრი, ორი შეხედულება ეროვნულ-დემოკრატიულ ზეკლასიურობაზე „ჩვენი ქვეყნის" მწერლებისა.

რასაკვირველია სპეკულიანტების მიერ ხელში ჩიგდებული პარტია ზეკლასიურობით ვერავის მოახიბლავს, ვინაიდან პარტიულ ტრადიციისადმი ერთხელ ჩადენილი ღალატი საკმაოდ საბუთი იქნება იმისთვის, რომ პარტიულმა მასსამ მათ ზურგი შეაქციოს.

ესეც რომ არ იყოს ჩვენ მაინც, ვერ გაგვიგია რომელი ბურჟუაზიის იმედი აქვს „ჩვენ ქვეყანას" და რომელ ბურჟუაზიას შეუწყობს იგი ხელს „დოვლათისა და სიმდიდრისათვის" დათეშიძეს თუ მახარაძეს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა: რამდენათ „ჩვენი ქვეყნელები", სწორედ ვიწრო კლასიურ ბილიკიდან გამოსულნი, ერთმანეთს დაუპირდაპირდებიან „ზეკლასიურობის" გარკვევაში, იმდენათ უფრო ნათლად გამოჩნდება მათი, კლასიური, სპეკულიანტური სახე.

## არჩევნების გარშემო.

ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია გაზ. „სალი კლდის" რედაქციის ბინაზე სასახლის ქუჩა № 5. ყველა პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო ცნობების და საარჩევნო ლიტერატურის მიღება შეუძლიათ ხსენებულ საარჩევნო კომისიისაგან.

იქვე შეუძლიათ მიიღონ საჭირო ცნობები: განმარტებები და ლიტერატურა პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ. კომისიის წევრთა მორიგეობა ყოველ დღეს, დილის 10—2 საათ. და საღამოს 5—7 ს.

არჩევნები კარს მოგვადგა თითო წუთი ძვირფასია არ დაჰკარგოთ დრო იმუშავეთ განუწყვეტლივ ჰფინეთ პლაკატები: ფურცლები, მოწოდებანი აფიშები, ნუ შეგაკრთობთ მოწინააღმდეგეთა სიცრუე. შემოიკრიბეთ გარს ყველა ამხანაგი ქალი კაცი, ახალგაზრდა, მასწავლებელი და მოსწავლე. ვინც პირადი საქმის გამო დააკლდება პარტიულ მუშაობას, მას არ ჰყვარებია საქართველო. მხნეობა და მოქმედება. ბრძოლა და გამარჯვება. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კამპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

1) პროპაგანდისტები ქუთაისის გუბერნიაში მოიმართონ ქუთაისის საგუბერნიო საარჩევნო კომისიას, ტფილისის გუბერნიაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2) უნდა მოაწყოთ დაუყოვნებლივ საარჩევნო კომისიები ყველა იმ პუნქტში, სადაც ყუთები იდგმება.

3) ყველა საარჩევნო კომისიაში უნდა გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი.

4) ხარჯებს უნდა გაუძლვეთ როგორმე ადგილობრივ, ცენტრიდანაც დაგეხმარებით.

5) ყოველი ცნობები მიაწოდეთ საგუბერნიო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს.

6) აწარმოვეთ დაწვრილებითი ანგარიშები, რომელსაც წარმოუდგენთ ცენტრალურს კომისიას მუშაობის დასრულების შემდეგ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

### პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში

1. ყველა ორგანიზაციამ და საარჩევნო კომისიების ყოველივე წევრმა უნდა შეიძინოს „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" ოფიციალური დამატება.

2. როდესაც შესდგება საქალაქო, ქალაქის საუბნო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილი საარჩევნო ერთეულების კომისიები, ორგანიზაციებმა უნდა წინასწარ მიიღონ ღონისძიებანი, რომ თავისი წარმომადგენელი იყოლიონ.

3. გარდა ასეთი წარმომადგენლობისა, როცა ჩვენი პარტიის საკანდიდატო სია იქნება წარდგენილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ზემოხსენებულ კომისიებში უნდა გაჰგზავნონ თითო წარმომადგენელი პარტიისა.

4. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება, თუ სად იდგმება საარჩევნო ყუთები და არ გამორჩეთ არც ერთი ყუთი უწარმომადგენლოთ.

5. ორგანიზაციებმა უნდა დაავალოს თავის მიერ გაგზავნილ წარმომადგენლებს კომისიებში, რომ არ გამოსტოვონ კომისიის არც ერთი სხდომა, ერთი წუთითაც არ მოაშორდნენ ყუთს არჩევნების წარმოების დროს, ყოველთვის აცნობონ პარტიულ ორგანიზაციას რა ხდება საარჩევნო კომისიებში, მოითხოვონ კომისიებში „დებულების" სასტიკი დაცვა და ყოველივე დარღვევა დებულებისა შეიტანონ ოქმებში.

6. ჩვენმა წარმომადგენლებმა კომისიებში უნდა სასტიკი მეთვალყურეობა დაიჭირონ, რომ რაიმე მიზეზისა გამო არ დაბრკოლდეს ჩვენი საკანდიდატო სიების (საარჩევნო ბარათების) და კონვერტების დროზე დაგზავნა და გამოქვეყნება ყველა არსებულ საარჩევნო კომისიებისთვის და ამომრჩევლებისთვის.

7. ორგანიზაციებმა უნდა თვალყური ადევნონ, რომ ადმინისტრაცია არ ჩაერიოს არჩევნების წარმოებაში, არავითარი ძალმომრეობა არ მოახდინოს ან დაშინება ამომრჩევლისა. ყოველივე ასეთი შემთხვევა უნდა აცნობოს სათანადო საარჩევნო კომისიას და პარტიულ ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს.

8. ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სიგანგებო საარჩევნო პარტიული კომისიები: საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და წვრილი სასოფლო ერთეულებისა.

9. ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში გარდა ზემოდ ჩამოთვლილი პარტიული საარჩევნო კომისიისა უნდა იყოს საგუბერნიო და საოლქო კომისიები.

10. პარტიულ საარჩევნო კომისიებს ევალებათ: თავის სამოქმედო რაიონში არ გამოსტოვონ არც ერთი ამხანაგი, რომ ამომრჩეველთა სიაში არ იყოს შეტანილი და ამრიგად არ დაჰკარგოს ხმის უფლება, დაარიგონ და გაავრცელონ მოწოდებანი, პლაკატები, საარჩევნო ბარათები, ბროშურები, გამართონ პარტიული კრებები და საჯარო მიტინგები ... ... ... გების ხალხში გა... ... ... პაგანდისტების კადრი და დაგზავნონ ყველა საარჩევნო რაიონებში.

11. ქუთაისის საგუბერნიო, სოხუმის საოლქო და ტფილისის გუბერნიის სამაზრო საარჩევნო კომისიებს ევალებათ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ თავის მოქმედების დროს პარტიის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტთან და აგრეთვე თავის რაიონში მოქმედ სხვა კომიტეტებთან ყოველივე საჭიროება ან და ნაკლი საარჩევნო მუშაობისა სასწრაფოდ უნდა აცნობონ სადაც ჯერ არს.

12. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები პარტიულ საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო თანხის შესაძენად შეადგინონ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს.

13. ორგანიზაციებს არ უნდა გამორჩეთ არც ერთი პარტიული ძალა გამოუყენებლივ.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

### პარტიულ ახალგაზრდობას

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზეა არის დამყარებული.

ეროვნულ პარტიის ახალგაზრდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

ტფილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზე, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

ეხლა გულგრილობა ღალატია პარტიისა და სამშობლოსი. ყველა ფეხზე დადგეთ და არც ერთი ხმა არ დაუკარგოთ პარტიას. ჩვენ გვაკლია მომუშავე ძალები, თქვენ ქალებო, სტუდენტებო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო ყველა, ვისაც სწამს, რომ დამფუძნებელ კრებაზე გაისმოდეს ეროვნული პოლიტიკის ძალუმი ხმა, მოდით მუშაობის გასანაწილებლად.

### პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ

ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ ხვადასხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ზემოხსენებული პირი მობრძანდება.

### საქართველოს ეროვნულ პარტიის ორგანიზაციებს პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ.

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა არჩევნები.

გევედრებით: დაუზარებლათ გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაუმარკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგი მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრო-

ბა-მრეწველობისათვის და საერთოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და აირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს ძალა უფლებას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული პირობების დამყარება შეუძლიათ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადოებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელ სოფელში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ. ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიის კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტს ტფილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს ტფილისში. პროვინციაში მიმავალი პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალება წასვლის წინ შემოიარონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (თავად-აზნაურობის ქარვასლა ბ. „სალი კლდის" რედაქცია და მთავარი კომიტეტის ბინა).

ეროვნულ პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.

### დამფუძნებელი კრების არჩევნები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უფლება მიანიჭა პარტიებს მათი ბიულეტენების მიღებისა და დარიგებისა მაზრაში. ნაწილი ბიულეტენებისა, კანონის ძალით, ყველა ყუთებთან უნდა დარჩეს. დანარჩენი ბიულეტენები უნდა თვით დაარიგონ პარტიებმა, ანუ თუ მათ ამაზე უარი განაცხადეს და ბიულეტენების მიღების შემდეგ ერთი დღის განმავლობაში არ წაიღეს სამაზრო, ანუ საქალაქო კომისიიდან, სამაზრო კომისია თვითონვე უგზავნის ბიულეტენებს სასოფლო კომისიებს. უკანასკნელნი კი დაუყონებლივ ურიგებენ ამომრჩეველთ იმ პარტიების ბიულეტენებს, რომელთაც თვითონ არ უკისრიათ დარიგება.

პარტიებს უფლება აქვთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენების ერთი ნაწილი გაიტანონ მაზრის ამა თუ იმ რაიონისთვის. ამ რაიონში უკვე კომისიები პარტიის ბიულეტენებს აღარ დაარიგებენ.

საქართველოს ეროვნული პარტიის სამაზრო ორგანიზაციებს ევალებათ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენის გატანა იმ რაიონებისთვის, სადაც სამაზრო კომისიას საიმედო პირები ჰყავს არჩეული. ბიულეტენების დასარიგებლად სადაც პარტიას ასეთი პირები არ ჰყავს, იქ თვით სასოფლო საარჩევნო კომისიებმა უნდა დაურიგოს ყველა ამომრჩეველს ჩვენი პარტიის ბიულეტენები.

## საარჩევნო კომისიებს

გაცნობებთ შემდეგს შესასრულებლად:

1. პარტიებს ოფიციალურ წარმომადგენლით უფლება აქვთ თავიანთი პარტიების ბიულეტენები წაიღონ ამომრჩეველთა დასარიგებლად. თუ რომელიმე პარტია ერთი დღის განმავლობაში დღიდან ბიულეტენების მიღებისა უარს იტყვის მათ წაღებაზე ან სრულიად არ გამოცხადდება, მაშინ თვითონ კომისია ვალდებულია წაუღებელი ბიულეტენები ამომრჩევლებს დაურიგოს. თუ პარტია მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში კისრულობს დარიგებას, მაშინ დანარჩენ რაიონებში დარიგება კომისიას ევალება.

კომისიის მოვალეობასვე შეადგენს თვითეულ საარჩევნო ყუთთან ყოველ შემთხვევისათვის იქონიოს პარტიების ყველა ბიულეტენები. ბიულეტენების დასაგზავნი ხარჯი კაცისთვის დღიური, სასმელ-საჭმელისა და საგზაო ფული და გადაზიდვის ქირა თქვენ უნდა გაიღოთ და ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნოთ.

2. შესაძლებლად მიგვაჩნია მმოძრავ ყუთების დაშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში—მთაგორიან, მიუვალ და შორს მდებარე ადგილებში ყოველ ცალკე შემთხვევაში თვით კომისიამ უნდა გადასწყვიტოს მმოძრავი ყუთის დაშვება და ამ გადაწყვეტილებას უნდა ემხრობოდეს არა ნაკლებ კომისიის სხდომის ორი მესამედი. მმოძრავი ყუთი თუ შემოიღეთ, აუცილებლათ უნდა იქნას დაცული კანონის ყველა მოთხოვნილება ყუთის შესახებ და მიღებულ იქნას ზომები, რომ ერთმა და იმავე ამომრჩეველმა მხოლოდ ერთხელ მისცეს ხმა და ასეთი ყუთებისათვის ამომრჩეველთა ცალკე სია უნდა იქონიონ.

3. კატეგორიულად გიცხადებთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა არჩევნებში ჩარევა როგორც ამა თუ იმ პარტიის აქტიურ დამცველობისა, დაუშვებელია წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შედგენილ იქნას სათანადო ოქმი კომისიის მიერ და წარმოდგენილი ცენტრალურ კომისიაში.

თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

### საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას: ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნომერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი ხუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის სოუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა, ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს ხუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათები, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტშია დევს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

### არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, მოახევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებული იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

100. ვინც პიროვნებ[illegible] დასჯილის (наказуемый) [illegible] ტყუილებით, ძალდატანებით, [illegible] მოხმარებით ან ეკონომიური დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესობით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივი სარგებლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

106. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან საყალბით შეუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას, დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება, დატუსაღებით.

109. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

## საქართველოს ამბები.

### ყაჩაღ-მილიციელის დაპატიმრება.

იმ კომისიამ, რომელიც ტფილისის მილიციის რევიზიას ახდენს დააპატიმრა მილიციელი ქვერცხიშვილი მას ბრალდება მონაწილეობა ყაჩაღთა ბრბოში, რომელიც შარშან გაზაფხულზე გორის მაზრაში მრავალი მკვლელობა ჩაიდინა და სხვათა შორის ამოხოცა ყარანგოზიშვილების, ცაცაშვილების და სხვა თავად აზნაურთა ოჯახები.

### საქართველოს სენატის დებულება

დაასრულეს საქართველოს სენატის დებულების დამუშავება. დებულებას იმ დღეებში მთავრობას წარედგინება განსახილველად.

### ახალციხის ჯარების უფროსის გამოცვლა.

ახალციხის ჯარების სარდალი გენ. მაყაშვილი თანამდებობიდან გადაყენებს, მის მაგიერად დაინიშნა გენ. მაზნიაშვილი

### სიღნაღის სამაზრო მილიციის უფროსის გადაყენება

იმ კომისიამ, რომელიც ტფილისის ქა-

